24 აპრილი 2023 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის 150

გაცნობებთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთის ტერიტორიაზე, შპს „პიტსტოპ პეტროლეუმ"-ი გეგმავს თხევადი საწვავების (დიზელი, ბენზინი, თხევადი გაზი) სარეალიზაციო ავტოგასამართი სადგურის მოწყობა-ექსპლოატაციას.

საპროექტო საწარმოს მოცემულ ტერიტორიაზე განთავსებისათვის კომპანიის ადმინისტრაციასა და შპს „გაზ ჯორჯიან"–ს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, (იჯარის ის საფუძველზე კომპანია „გაზ ჯორჯიან"-მა გადასცა მეორე მხარეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთის ტერიტორიაზე (ს/კოდი 34.07.47.159) არსებული ავტოგაზგასამართი სადგურის გარკვეული ნაწილი, 500 მ² ფართობი, განთავსებული 4214 მ² მიწის ნაკვეთზე ზემოთხსენებულ მისამართზე.

ვინაიდან საქართველოს კანონის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-6 პუნქტის 6.3. ქვეპუნქტის თანახმად, ნავთობისა დანავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობადა ექსპლუატაცია წარმოადგენს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას, კომპანიის მიერ, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავებულ იქნა დაგეგმილ საქმიანობაზე სკრინინგის ანგარიში.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან, განსახილველად წარმოგიდგენთ ამ საწარმოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის ანგარიშს.

სკრინინგის ანგარიში თანდართულია.

პატივისცემით,

გიორგი გათენაძე

შპს „პიტსტოპ პეტროლეუმი"-ს დირექტორი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„25" 04 2023
№ 3551